# საქართველოს გაზეთი

მაისის 3 დღესა ჩყით წელსა თფილისში.

No. 9.


## სანქტ პეტერბურღს

### უმაღლესი ბრძანება.

მარტის ა. რიცხვსა.

#### დანიშნვანი.

კურსკის შინაგანის მცველის გარნიზონის ბატალიონის მაიორი კლაუდი მოზდოკს პლაც-მაიორად.

### შინაგანნი ამბავნი.

მარტის მეათორმეტესა რიცხვსა ესდენ დიდს სასიხარულო, ვითარცა საღმრთო დღე ესე ყოვლად-რუსიელთათვის, დღე ესე რომელსაცა, შინა უწინარეს ათრვამეტისა წლისა ხ ე ლ მ წ ი ფ ე ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი დაჯდა ტახტსა ზედა წინაპართა თვისთასა იდღესასწაულეს, ვითარცა ეკლესიათა შინა აქაურისა სატახტოსა ქალაქისათა, ეგრეთვე სრულიადსაცა იმპერიასა შინა სადღესასწაულისა ჳ სამადლობელის ზარაკულისის გარდასხმით. მწყობრად ქალაქი განათლებულ იყო ჩირაღდნენითა.

### უმაღლესი ბრძანება

მარტის ის. რიცხვსა

#### განთავისუფლებანი სამსახურიდამ.

სნეულებისათვის ქვეითის მწყობრის მეათექ-

ესმეტე იეგერის პოლკის პორუჩიკი გრიბოვი მეორე შტაბს-კაპიტნად.

კომიტეტი უმაღლესად დამტკიცებული ჩყიდ წლის აგვისტოს ათვრამეტსა დღესა ამით გამოცხადებს, რომე ქვემოხსენებულნი შტაბ-ოფიცერნი განწესებულ არიან თანამდებობათა შინა კომენდანტებად. მოგილევსკის ქვეითის პოლკის პოდპოლკოვნიკი მასლოვი სიღნაღს. ტაგანროგსკის ულანსკის პოლკის მაიორი გრაბოვიჩი თბილისს. ნიჟეგოროდსკის დრაგუნის პოლკის მაიორი პეტერვე თელავის ციხეში პლაც-მაიორად. მეათერთმეტე იეგერის პოლკის მაიორი იკონნიკოვი გიორგიევსკის ციხეში.

ყოვლადუმოწყალესად ჰბოძებიათ მისის იმ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი თ ი ს დიდებულების ამალის გვარტერმეისტერის ნაწილის შტაბს-კაპიტანს ბაბარიკინს კავალერი ორდენისა წმიდისა ანნას მესამისა ხარისხისა ჳ თბილისის პოლიცმეისტერს ნადვორნის სოვეტნიკს კასანოვს კავალერი ორდენისა წმიდისა ვლადიმერისა მეოთხისა ხარისხისა.

### უმაღლესნი ბრძანებანი.

მარტის იზ. რიცხვსა.

#### გარდმოიყვანებიან.

სნეულებისათვის რიგის ქვეითის პოლკის გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტნები ჭუჭუვსკი და ზალაგი ასტარხნის გარნიზონის პოლკში.

### მარტის იდ რიცხვსა.

### გარდმოიყვანება.

ქომანდირი თბილისის შინაგანის გარნიზონის ბატალიონის მაიორი გრემოვი ორენბურგის გარნიზონის ბატალიონში.

### მარტის კ. რიცხვსა.

### ჭმობებიათ.

განსხვავებულის სამსახურისათვს მაიორი პოდპოლკოვნიკობა ქვეითის მხედრობის გრუზინსკის გრანადერსკის პოლკში ტისოცკის მეორეს, ზელევსკის პოლკში გედრიმოვიჩს და შრეკვარტოვს და მეთოფქვემეთა იეგერის პოლკში ბობოვს.

### მარტის კბ. რიცხვსა

### განწესდება სამსახურში

ტუენოსანის მხედრობის ალექსანდრიის უზსარის პოლკიდამ განთავისუფლებული პორუტჩიკი შვეცკოვი ნიჟე-გოროდის დრაგუნის პოლკში.

ფებერვლის კა. გოლშტინიის ნაპირს გრემიტყის ადგილს მახლობლად მოადგა რომლისამე გვარის ვეშაპი, რომლისაც წონა იყო ათიათასი ფუნტი, ან ორასორმოცდაათი ფუდი, ეს ვეშაპი როდესაც ნაპირს გამოვიდა, მაშინ თუმცა ჯერ ისევ ცოცხალი იყო, მაგრამ დიდ დიდად დაღალულს ჰგვანდა. რადგან ცხენმა ვერ შეიძლო იმისი ხმელზედ გამოტანა, მეთევზეებმა, რომელთაცა არ იცოდნენ ფასი ამ იმათგან ნაპოვნის საუნჯისა, მეორეს დღესვე გაყიდეს ქვესახორმოცდა ათის მანეთად. მხოლოდ ერთი იმისი ღვიძლი წონაში მოვიდა სამოცი ფუნტი, და ქონი ასოცი ფუნტი.

ფებერვლის უკანასკნელს რიცხვებში ნეიშტადტის მახლობლად წყლის პირს ქვიშაზედ იპოვენეს ერთი დიდი თევზი და მოიტანეს მარტის ორს ლუბეკს დიდის ნავით, რომელშიაცა მლოვ ებუდა. ასე ფიქრით, რომ ეს თევზი მთელმა ნეიშტადტის მცხოვრებთა საზოგადოობამ იყიდა მეთევზეებისაგან ქვესახ ორმოცდა ათს მარკად (მარკი უცხოს ქვეყნის თეთრსა ჰქვიან.) და დიდ იაფად დაუჯდათ მხყიდველთ იმისი სყიდვა, ამისთვს რომ მხოლოდ იმ თევზის წყლის ნაპირიდამ იმ ნავით გამოტანა და ლუბეკს მოტანა ასს ტალერზედ უფრო მეტად დაუჯდათ. (ტალერი ევროპაში უცხოს ქვეყნის თეთრის სახელი არის) სხვებრ თუ ისინი შეიძლებენ, რომ ეს თევზი მთლად მიიტანონ ლამბურღს და იქ ფასით აჩვენონ იქაურთა, და მერმე იმისი ქონი გაჰყიდონ, მაშინ ისინი რასაკვირველია განათუ იმას ბიღებენ, რაც იმაში მიუციათ, კიდევ მოიგებენ, ამისთვის ეს თევზი ახალი არის, ენასა და შიგანეულს რადგან სხვაზედ უფრო ადრე და ადვილად შეეძლ ხიმპალე, ესენი მაშინვე გამოართვეს და მათგან ქონი აიღეს ასორმოცდა ათი ფუნტი, და უშიგანეულოდ მხოლოდ თევზი წონაში კიდევ გამოვიდა რვაათასი ფუნტი, იმისი ტყავი იყო უიმრავლის ფერი ხწორე და მორბილო.

### გამოცხადებანი.

ს' პეტერბურღის ფელშერლიცეისაგან მიწოდებულნი არიან ქვემოხსენებულის მამულების სყიდვის მოწადენი, რადგან ეს მამულები საგუბერნიის ვალების მიუცემლობისათვს დადებულნი არიან ხაზინისათვის გასასყიდად.

ა. ნახევარი წისქვილი მტკვრის მორევში ავლაბრელის გიორგი ილურიძისა იმ თეთრში, რომელიც ჰმართებს მას თბილისის უეზდის სასამართლის განაჩენით ვანელის მიღდახი მორგეგოვისა. იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის იგ. კდ. ჲ ლ.

ბ. ჟურული სახლი ჲ ვენახი თელაველის გიორგულია შვილისა თედოს იმ თეთრის მიუცემლობისათვის, რომელიც ჰმართებს მას თბილისის მოქალაქის ხტევანე ივანგულოვისა. იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის კ. ჲ ივნისის დ ჲ ზ.

გ. მიწა თავადთა ოროზისა ჲ ზაქარიას ფავლენიშვილებისა გორის უეზდის სოფელს ბრონღეთს ოთხასის დღის სახნავი იმ ვალში, რომელიც მართებსთ მათ ტიტულიარნის სოვეტნიკის ონიკოვის მეუღლის ბარბარესი. იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის იბ. კდ. ჲ კზ.

დ. სახლი თბილისელის მოქალაქის ასატურა კუზანოვისა, რომელიც უჭირავს ხეჩო აჰკაროვის სახლობას იმ თეთრის მისაცემად, რომელიც ჰმართებს მას სხვა ჲ სხვას კაცებისა. ვადა იმისის გასყიდვისა დანიშნული არის მაისის იგ, კდ. ჲ კზ.

ე. ვენახი ჲ ათის დღის სახნავი მიწა აზნაურთ ივანესა ჲ ხვიმონ სულხანოვებისა თელავის უეზდის სოფელს ატენურს იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მათ თბილისელის მოქალაქის მირო შაბურდოვისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის კე. ჲ ივნისის ზ. ჲ ია.

ვ. სახლი თბილისელის მოქალაქის ისაია ფითუაშვილისა თბილისის ქალაქის ~~ხიდველის~~ ჩასვლის მესამეს კვარტალში იმ ვალის მასხუხის გასაცემად, რომელიც ჰმართებს მას დავით ლეკანოზის მეღლის მარიამისა. ვადა იმისის გასყიდვისა დანიშნული არის მაისის ი, კდ. ჲ კზ.

ამის გარდა დამოცხადება.

ზ. ისპოლნიტელნის ექსპედიციაში ყოველს სოვეტნიკს ნადვორნის სოვეტნიკს თავადს დიმიტრის (ზურაბ) ორბელიანს მისის იმპერატორებითის დიდებულების სახელობითის უმაღლესის უქაზით გულს-მოდგინებითისა ჲ უბიწოს თანამდებობის აღსრულებისათვის ყოვლად უმოწყალესად ჰბოძებია კოლლეჟსკის სოვეტნიკობა.

უზენაესის საქართველოს მმართებლობის სახაზინის ექსპედიცია ამით გამოაცხადებს, რომ იმ ბაღებს გარდა, რომელნიც გამოცხადებულ იქმნენ ქართულს გაზეთში ეს ექსპედიცია იჯარით აძლევს.

თბილისს.

ფეშხის იჯარას ჲ იმ ადგილებს, რომელზედაც აშენებული არის მცხოვრებთ სახლები ჲ დუქნები, რომელნიც ხვდებოდენ მეფის მესდარს, ჲ დარუგას დედოფლისადმი შესახვედრი ადგილები ჲ მცხოვრებთ დუქნებიდამ თვის ხარჯის მოკრებვა.

შარჩალის დისტანციაში.

სათევზეები პირველი ღვებლის მდინარეში, მეორე ქოლაგირის სოფელთან ჲ მესამე ბრუხლის სოფელთან.

ჟამბაკურისა და შორაპნის მაზრებში

მქაურის სამღებროებიდამ სარეჯის მოკრება.

ანანურის მაზრაში.

ორაგულის ჭერა არაგვის მდინარეში.

გორის მაზრაში

სურამის ბაჟი.

თელავის მაზრაში

სათევზე ალაზნის მდინარეში გავაზისა და სანავარდოს სოფლებთან. ეგრეთვე რომელსამე საკელმწიფო სოფლებთან ღორისა და ცხვრის საკელმწიფოს ადგილებში შენახვის საბალახე, და ზვრები ურიათუბნისა, ქვემოხოდაშნისა და ახმეტის სოფლებისა.

სიღნაღის მაზრაში.

ოთხი ზვარი მანავის სოფელში ერთი დიდი და მეორე პატარა, სოფელს ვაქირს ერთი ვენახი იჭაურის მცხოვრების ივანე ნარიკელიშვილისა, რომელიც გამორთმეული არის საკელმწიფოდ იმის სამდვარს გარეთ გაქცევისათვის. ერთი ზვარი გურჯაანში, და ექვსი სავენახე ადგილი, რომელთაგანიც სამი არის მაჩხაანს და სამი მირზაანში.

შერთული ამბავი.

მხოლოდ ერთი ჩინებული საქმე ჰშთების სიბრძნესა შინა უცნობელობისასა. მიიღოს ისპანიამან ვითარიმე შეწევნაჲ პირისპირ კერძოსა მის დაბათა თჳსთასა, რომელიცა ჰშთების დაუმორჩილებელად? არა არს იჭვი, რომელ საკელმწიფოთა ჰქონან სამართალი და ვალი, რათა შეეწეოდენ ერთიერთსა პირისპირ მეშფოთართა, გარნა ვალსა ჰქონან თჳსნი საზღვრნი: უწინარეს ყოვლისა ჯერ არს ჭეშმარიტად სარგებლობათა ზედა თჳსთა საკუთართა ყმათასა, და არავითარიმე საკელმწიფო თანამდებ არს, რათა შეეწეოდეს მეფეთა თჳსთა და საუნჯეთა თვინიერ წინაწართა პირობათა ჯილდოთათჳს. შესაძლო არს, რომელ გარდა მისა კვალად პოლიტიკა ხელვიდეს ისპანიის ამერიკასა შინა მტერთა ყოვლითურთ სხვა და სხვისა გვარისათა, რომელთაცა შეუძლებელ არს მიცემა ერთიერთის საჭურჭლითა.

ზღვისა და ხმელის გზის ავაზაკთა დამარცხებულთა რომელთამე მხარეთა განსვენებისათა ადგილ მალ ყოფით დამშვიდებულ ყოფად ისპანიისა მიერ უკეთუ იყვნენ იგი მიიღებს თჳსთა ღონეთა და ისმევს მპარავრობათა. ხოლო მათი, რომელნიცა არა დამოკიდებულ არიან მას ზედა, და რომელნიცა აღსდგენ პირველად პირისპირ სჯულიერისა კოროლისა თჳსისა, გარნა სახელითა მისითა აღსდგენ პირისპირ მტაცებელთა უზენაესისა კელმწიფობისათა, საგონებელ არს, უძლიერეს იქმნებოდამცა დამორჩილება ნებითა, ვიდრე ძალითა. დიდგინებულებითი წერილი მოუქცეველიმცა მშვიდობასა, ბედნიერებასა და კეთილდღეობასა ხრუცთამდისა ამერიკასა, გარნა შორის მისა ვითარცა უმრავი ლაშქრობა უკეთუმცა უკანასკნელ იყესზე გამოვიდეს იგი კედოსიდამ, უკეთუმცა დაიპყროს ვიდრე ბუენოსაირესი, ვერ აღადგენს ჭეშმარიტსა განსვენებასა, და ვერ აღსპობს თავისუფლად მყვარებელთა ჰაზრთა, რომელნიცა განფენილ არიან ვიდრე მათ ვრცელთაცა შინა სამფლობელოთა, სადაცა უმეტესობა ჰაზრთა ჯერეთ აქამომდე ჰშთების ერთგულად კელმწიფობისადმი კოროლისა. შემძლებელობასა მალუმს განკარგვაჲ აწინდელისა, გარნა ერთითა მხოლოდ საზოგადოობითითა დადგენებულებათამდი სხვერისა მიერ ნებაჰრთულ არს განკარგვაჲ მომავალთა საქმეთა.

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნება)